*შეთანხმება*
*ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ბინრემმშენი“ შორის 2014 წლის 16 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №265 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე*

№ 10/265
01 – 08 – 14
2

*ქ. ზუგდიდი* *01 აგვისტო, 2014 წელი*

ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბინრემმშენი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნოდარ გოგილავას სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს შესახებ და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების საფუძველზე, „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერეზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „ბინრემმშენი“-ს შორის 2014 წლის 16 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №265 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

ა) შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- ერთის მხრივ, *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი* (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, *შპს „ბინრემმშენი“* (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნოდარ გოგილავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე.

ბ) შეიცვალოს ხელშეკრულების მე-17 მუხლის 17.2 პუნქტში მოცემული ინსპექტირების ჯგუფის წევრთა შემადგენლობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- *პუნქტი 17.2* – ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: – ვლადიმერ გვილია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი; - მურმან ბოკუჩავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი; - ლეონტი ფაჟავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

გ) ხელშეკრულებაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, საიდენტიფიკაციო ნომერი: 220416967, მომსახურე ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი," საბანკო ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000, ბანკის კოდი: LBRTGE22.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*<br>იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90<br>საინდენტიფიკაციო კოდი: **220416967**<br>საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000 | *შპს „ბინრემმშენი"*<br>იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, ბუქარესტის ქ. №37<br>საიდენტიფიკაციო კოდი: **220414790**<br>საბანკო რეკვიზიტები: სს „პრივატბანკი"<br>ბანკის კოდი: CAVOGE22<br>ანგარიშის ნომერ: GE53TP0036050020001610 |
| *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:*<br>..... /ე. თოლორაია/ | *შპს „ბინრემმშენი"-ს დირექტორი:*<br>..... /ნ. ბოგილავა/ |